თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 17

24 სექტემბერი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 20 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**უჩა ჭოტიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ჩვენი თელავი“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	**არჩილი თვალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „თელავი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე	**ალექსანდრე კუპატაძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ჩვენი თელავი“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა მამუკელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ლელა მენთეშაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **თამარ არაბული;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ზაქაიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

ნ.ვაყელიშვილმა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

თავმჯდომარემ ნ. ვაყელიშვილის მიერ დაყენებული საკითხის დამატებით საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

   მომხს: დ.ზაქაიძე
   11.00სთ-დან - 11.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მშობელთა მხარდამჭერი ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს: დ.ზაქაიძე
   11.10სთ-დან - 11.20 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მეწარმე ადამ აბალოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: დ.ზაქაიძე

11.20სთ-დან - 11.30 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.30სთ-დან - 11.40 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.40სთ-დან - 11.50 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის N42 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო იურდიული პირის „ვორლდ ვიჟენ საქართველო“ ფილიალისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.50სთ-დან - 12.00 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N19 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.10სთ-დან - 12.20 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ანგარიშის შესახებ.

მომხს. თ.არაბული

12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

11. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის მიერ სხდომაზე წარსადგენი საკითხების გამოტანა დაევალა საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ ტიტე დარეჯანიშვილს.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: დ.ზაქაიძე

11.00სთ-დან - 11.10 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **უ.ჭოტიაშვილმა** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ საკითხი შეტანილ იქნა სხდომის დღის წესრიგში იმ პირობით, რომ საკრებულოს სხდომამდე წარმოდგენილი იქნებოდა საიჯარო ქირის ოდენობა. ვინაიდან მერიამ ვერ უზრუნველყო ქონების შეფასება და შესაბამისად საიჯარო ქირის წარმოდგენა, საკითხი უნდა მოიხსნას განხილვიდან, სრულყოფილად მომზადების მიზნით.

გადაწყვიტეს: **წარმოდგენილი საკითხი მოიხსნას განხილვიდან** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მშობელთა მხარდამჭერი ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.10სთ-დან - 11.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მეწარმე ადამ აბალოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.20სთ-დან - 11.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **უ.ჭოტიაშვილმა** აღნიშნა, რომ პირველი საკითხის ანალოგიურად საკითხი უნდა მოიხსნას განხილვიდან სრულყოფილად მომზადების მიზნით.

გადაწყვიტეს: **წარმოდგენილი საკითხი მოიხსნას განხილვიდან სრულყოფილად მომზადების მიზნით** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.30სთ-დან - 11.40 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18(თვრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.40სთ-დან - 11.50 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18(თვრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის N42 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო იურდიული პირის „ვორლდ ვიჟენ საქართველო" ფილიალისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე" ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: დ.ზაქაიძე

11.50სთ-დან - 12.00 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **უ.ჭოტიაშვილმა** აღნიშნა, რომ გ.ორკოდაშვილმა გააკეთა განცხადება საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში გაწევრიანების შესახებ, შესაბამისად პროექტში წარმოდგენილი კომისიის შემადგენლობას უნდა დაემატოს გ.ორკოდაშვილი.

<u>გადაწყვიტეს:</u> აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>8.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N19 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.10სთ-დან - 12.20 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა**

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>9.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს: ნ.ხვისტანი

12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>10.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ანგარიშის შესახებ.

მომხს. თ.არაბული

12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ნ.მაისურაძემ, ზ.ლილუაშვილმა, გ.მამუკელაშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოსათვის მნიშვნელოვანია მსგავსი ანგარიშების მოსმენა.

<u>გადაწყვიტეს:</u> **აუდიტორული შემოწმების ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.**

<u>11.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**